სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 3 22 0000452940

05/05/2022

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შე სახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 27 იანვრის N 75694 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 15 აპრილის N395720 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 18 აპრილის N401406 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 2 მაისის N01-05-04/38 დადგენილების შესაბამისად სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ :

1. საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2022 წლის პირველი მარტიდან 2022 წლის პირველ აგვისტომდე 5 (ხუთი) კალენდარული თვის განმავლობაში;
2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2021–2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ის რექტორის 2021 წლის 08 ოქტომბრის N 1062868 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2022 წლის 14 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 87%-ისა, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო სტიპენდია;
4. სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს;
6. ამ ბრძანების შესაბამისად, სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან:
   - სამშენებლო ფაკულტეტი – 63 სტუდენტი;
   - ენერგეტიკის ფაკულტეტი – 52 სტუდენტი;
   - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 31 სტუდენტი;
   - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 21 სტუდენტი;
   - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი –30 სტუდენტი;
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 37 სტუდენტი;
   - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 68 სტუდენტი;
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 94 სტუდენტი;
   - დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 5 სტუდენტი;
   - აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 68 სტუდენტი;
   - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 55 სტუდენტი;
   - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი -28 სტუდენტი;
   - მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 2 სტუდენტი.
7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდეს და გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;
10. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;
11. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან